

1. „ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო და ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტზე საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელი: საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე: ამირან დევაძე

2. „სსიპ სამხედრო გაწვევისა და რეკრუტირების ეროვნული სააგენტო“-სთვის ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი და მოძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, ვადით, უსასყიდლოდ, უზუფრუქტის ფორმით გადაცემაზე ქედის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ.

მომხსენებელი: მერიის ეკონომიკური განვითარების
სამსახურის უფროსის მ/შ: გულადი წითელაძე
თანამომხსენებელი: საკრებულოს ქონების მართვისა და
ბუნებრივი რესურსების საკითხების
კომისიის თავმჯდომარე: მერაბ ნაკაშიძე

3. ქედის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმის, ახალგაზრდულ საკითხთა და ძეგლთა დაცვის სამსახურის მიერ 2025 წელს პროგრამების შესრულების შესახებ ანგარიში.

მომხსენებელი: მერიის განათლების, კულტურის, სპორტის,
ტურიზმის, ახალგაზრდულ საკითხთა და
ძეგლთა დაცვის სამსახურის უფროსი: ეკატერინე ქაჯაია-კომახიძე
თანამომხსენებელი: საკრებულოს სოციალურ საკითხთა
კომისიის თავმჯდომარე: ნაზიმ ჩხეიძე

4. ა(ა)იპ „ქედის ბაგა-ბაღების გაერთიანება“-ს მიერ 2025 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიში.

მომხსენებელი: ა(ა)იპ „ქედის ბაგა-ბაღების გაერთიანება“-ს
დირექტორი: აიშე თეხიძე
თანამომხსენებელი: საკრებულოს სოციალურ საკითხთა
კომისიის თავმჯდომარე: ნაზიმ ჩხეიძე

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №

2026 წლის -- იანვარი

დაბა ქედა

ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო და ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს (დადგენილება) პროექტზე საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 103-ე, 106¹-ე და 106⁵-ე მუხლების შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

1.დაიწყოს საჯარო ადმინისტრაციული წარმოება „ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო და ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს (დადგენილება) პროექტზე.

2.განსახილველ საკითხთან მიმართებაში საჯარო ადმინისტრაციულ წარმოებაზე უფლებამოსილ ორგანოდ განისაზღვროს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისია (თავმჯდომარე - მერაბ ნაკაშიძე).

3.განსახილველ საკითხზე ზეპირი მოსმენის შესახებ სხდომის მოწვევის თარიღად განისაზღვროს 2026 წლის 25 თებერვალი.

4.ნორმატიულ ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) გამოცემის თარიღად განისაზღვროს 2026 წლის 27 თებერვალი.

5.წინამდებარე განკარგულება წარმოადგენს ადმინისტრაციული წარმოების საკითხთან დაკავშირებით მიღებულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს და იგი არ ექვემდებარება ცალკე გასაჩივრებას.

6.წინამდებარე განკარგულება საჯაროდ გაცნობის მიზნით გამოქვეყნდეს ქედის მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე (www.keda.gov.ge).

7.განკარგულების ქედის მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსება უზრუნველყოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსმა - მუხრან სალაძემ.

8.განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

ც ნ ო ბ ა

საჯარო ადმინისტრაციული წარმოების შესახებ

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოში (მის. დაბა ქედა მერაბ კოსტავას ქუჩა №3, ადგილობრივი თვითმმართველობის ადმინისტრაციული შენობა, მეორე სართული) მიმდინარეობს საჯარო ადმინისტრაციული წარმოება „ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო და ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს (დადგენილება) პროექტზე.

საჯარო ადმინისტრაციულ წარმოებას ახორციელებს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისია (თავმჯდომარე - მერაბ ნაკაშიძე). (მის: დაბა ქედა მ. კოსტავას ქ.№3, ადგილობრივი თვითმმართველობის ადმინისტრაციული შენობა, მეორე სართული;).

დაინტერესებულ პირებს განსახილველ საკითხთან დაკავშირებით მოსაზრების წარდგენა შეუძლიათ საჯარო ადმინისტრაციული წარმოების შესახებ ცნობის გამოქვეყნებიდან 2026 წლის 24 თებერვალს დღის 18:00 საათამდე ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიაში.

განსახილველ საკითხზე ზეპირი მოსმენის შესახებ სხდომა შედგება 2026 წლის 25 თებერვალს დღის 12:00 საათზე. (მის: დაბა ქედა მ. კოსტავას ქ.№3, ადგილობრივი თვითმმართველობის ადმინისტრაციული შენობა, მეორე სართული; სხდომათა დარბაზი).

„ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო და ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების გამოცემის თარიღად განსაზღვრულია 2026 წლის 27 თებერვალი.



ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება №

2026 წლის -- იანვარი
დაბა ქედა

ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო და ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.გ“ ქვეპუნქტის, საქართველოს ორგანული კანონის „ნორმატიული აქტების შესახებ“ 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის მე-6 პუნქტისა და „სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ერთეულის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2013 წლის 8 ოქტომბრის №784 ბრძანებულების შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1.

დადგინდეს ქედის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო და ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასი, თანახმად დანართისა.

მუხლი 2.

ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო და ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 28 თებერვლის №12 დადგენილება (სსმ, ვებგვერდი, www.matsne.gov.ge, სარეგისტრაციო კოდი: 200140030.35.134.016306, 06/03/2020).

მუხლი 3.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქედის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

ამირან ცინცაძე

**ქედის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო და ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში
არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის
დადგენის შესახებ**

1. ქედის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო და ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასი (შემდგომში „მიწის ნორმატიული ფასი“) დგინდება შესაბამის ადგილზე არსებული მიწის საბაზრო ფასის გათვალისწინებით და გამოიანგარიშება შემდეგი ფორმულის მიხედვით:

$$C_N = I_{MG} \times I_{TL} \times C \times K, \text{ სადა:}$$

ა) C_N - არის ერთი კვადრატული მეტრი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასი;

ბ) I_{MG} - არის დაბა ქედის მაკრომდებარეობის ინდექსი, რომელიც უდრის 0.38-ს;

გ) I_{TL} - არის ლოკალური ტერიტორიული ინდექსი, რომელიც უდრის - 1-ს; (რადგან დაბა ქედში ზონირება არ ხორციელდება)

დ) C - არის არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ერთ კვადრატულ მეტრზე დადგენილი საბაზისო განაკვეთი და მისი მნიშვნელობა უდრის 0.24 ლარს;

ე) K - არის მიწის ნორმატიული ფასის მარეგულირებელი კოეფიციენტი და მისი მნიშვნელობა უდრის 87.8-ს.

2. პირველი პუნქტის მიხედვით დაბა ქედში სახელმწიფო და ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ერთი კვადრატული მეტრი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასი დადგინდეს შემდეგი სახით:

I_{MG}	I_{TL}	C	K	C_N (ლარი)
0.38	1	0.24	87.8	8.0

3. ქედის მუნიციპალიტეტის სოფლებში სახელმწიფო და ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ერთი კვადრატული მეტრი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასი დადგენილია დაბა ქედისათვის დადგენილი ფასის 30%-ის ოდენობით და იგი შეადგენს 2.4 ლარს.

4. ქედის მუნიციპალიტეტის დასახლებათა შორის არეალებში სახელმწიფო და ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ერთი კვადრატული მეტრი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასი დადგენილია დაბა ქედისათვის დადგენილი ფასის 25%-ის ოდენობით და იგი შეადგენს 2.00 ლარს.

5. ქედის მუნიციპალიტეტის დასახლებათა შორის არეალებში გამავალი „საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 18 ივნისის №407 დადგენილებით განსაზღვრული შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების 50 მეტრის რადიუსში (თითოეულ მხარეს) არსებული სახელმწიფო და ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ერთი კვადრატული მეტრი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასი დადგენილია დაბა ქედისათვის დადგენილი ფასის 50%-ის ოდენობით და იგი შეადგენს 4.00 ლარს. ამ შემთხვევაში არ გამოიყენება მე-4 პუნქტით დადგენილი ფასი.

განმარტებითი ბარათი

ინფორმაცია სამართლებრივი აქტის პროექტის შესახებ

„ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო და ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული აქტის (დადგენილება) პროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია ნორმატიული აქტის პროექტის შესახებ:

ა.ა) ნორმატიული აქტის მიღების მიზეზი:

ნორმატიული აქტის მიღების მიზეზია საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის, „სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ერთეულის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2013 წლის 8 ოქტომბრის №784 ბრძანებულების საფუძველზე მიღებულ სამართლებრივ აქტში ცვლილებების შეტანა და მისი ჩამოყალიბება ახალი რედაქციით.

ა.ბ) ნორმატიული აქტის მიღების მიზანი:

ნორმატიული აქტის მიღების მიზანია, დადგინდეს ქედის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო და ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასი - ადგილმდებარეობის მიხედვით და განისაზღვროს მისი გამოანგარიშების წესები.

ა.გ) ნორმატიული აქტის ძირითადი არსი:

ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანო უფლებამოსილია ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიულ სამართლებრივ აქტი (დადგენილება) მიიღოს ქედის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს ინიციატივისა და მოთხოვნის საფუძველზე. აქედან გამომდინარე სწორედ წარმოდგენილი ნორმატიული აქტის პროექტის პირველი მუხლის შესაბამისად ხდება ქედის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო და ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასი დადგენა, სადაც მიწის ნორმატიული ფასის მარეგულირებელი კოეფიციენტი მნიშვნელობა გაიზარდა $K = 76,8$ -ს ნაცვლად მისი მნიშვნელობა განისაზღვრა $K=87,8$ -ით, რამაც გამოიწვია ფასების დადგენის ნაწილში ცვლილებები, გამომდინარე აქედან თუ როგორ ხდება აღნიშნულ საკითხის სამართლებრივი რეგულირება დაწვრილებით გადმოცემულია დადგენილების პროექტზე თანდართულ დანართებში, კერძოდ:

1. ქედის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო და ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასი (შემდგომში „მიწის ნორმატიული ფასი“) დგინდება შესაბამის ადგილზე არსებული მიწის საბაზრო ფასის გათვალისწინებით და გამოიანგარიშება შემდეგი ფორმულის მიხედვით:

$$C_N = I_{MG} \times I_{TL} \times C \times K, \text{ სადა:}$$

ა) C_N - არის ერთი კვადრატული მეტრი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასი;

ბ) I_{MG} - არის დაბა ქედის მაკრომდებარეობის ინდექსი, რომელიც უდრის 0.38-ს;

გ) I_{TL} - არის ლოკალური ტერიტორიული ინდექსი, რომელიც უდრის - 1-ს; (რადგან დაბა ქედაში ზონირება არ ხორციელდება)

დ) C - არის არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ერთ კვადრატულ მეტრზე დადგენილი საბაზისო განაკვეთი და მისი მნიშვნელობა უდრის 0.24 ლარს;

ე) K - არის მიწის ნორმატიული ფასის მარეგულირებელი კოეფიციენტი და მისი მნიშვნელობა უდრის 87.8-ს.

2. პირველი პუნქტის მიხედვით დაბა ქედამი სახელმწიფო და ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ერთი კვადრატული მეტრი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასი დადგინდეს შემდეგი სახით:

I _{MG}	I _{TL}	C	K	C _N (ლარი)
0.38	1	0.24	87.8	8.0

3. ქედის მუნიციპალიტეტის სოფლებში სახელმწიფო და ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ერთი კვადრატული მეტრი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასი დადგენილია დაბა ქედისათვის დადგენილი ფასის 30%-ის ოდენობით და იგი შეადგენს 2.4 ლარს.

4. ქედის მუნიციპალიტეტის დასახლებათა შორის არეალებში სახელმწიფო და ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ერთი კვადრატული მეტრი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასი დადგენილია დაბა ქედისათვის დადგენილი ფასის 25%-ის ოდენობით და იგი შეადგენს 2.00 ლარს.

5. ქედის მუნიციპალიტეტის დასახლებათა შორის არეალებში გამავალი „საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 18 ივნისის №407 დადგენილებით განსაზღვრული შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების 50 მეტრის რადიუსში (თითოეულ მხარეს) არსებული სახელმწიფო და ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ერთი კვადრატული მეტრი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასი დადგენილია დაბა ქედისათვის დადგენილი ფასის 50%-ის ოდენობით და იგი შეადგენს 4.00 ლარს. ამ შემთხვევაში არ გამოიყენება მე-4 პუნქტით დადგენილი ფასი.

ასევე, წარმოდგენილი ნორმატიული აქტის პროექტის მე-2 მუხლის შესაბამისად ხდება ძალადაკარგულად გამოცხადდა „ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო და ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 28 თებერვლის №12 დადგენილება (სსმ, ვებგვერდი, www.matsne.gov.ge, სარეგისტრაციო კოდი: 200140030.35.134.016306, 06/03/2020), ხოლო, მესამე მუხლით განსაზღვრულია დადგენილების ძალაში შესვლის საკითხი.

ა.დ) ნორმატიული აქტის მოკლე ვადებში მიღების (გამოცემის) დასაბუთება:

წარმოდგენილი ნორმატიული აქტის პროექტის მიღება უნდა განხორციელდეს შემჭიდროვებულ ვადებში, რათა სამართლებრივად დროულად მოწესრიგდეს აღნიშნული საკითხი.

ბ) ნორმატიული აქტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) ნორმატიული აქტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

ნორმატიული აქტის მიღება არ გამოიწვევს ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.

ბ.ბ) ნორმატიული აქტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

ნორმატიული აქტის მიღება გავლენას მოახდენს ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) ნორმატიული აქტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

ნორმატიული აქტის მიღება გავლენას არ მოახდენს ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

ნორმატიული აქტის მიღება არ წარმოშობს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

გ) ნორმატიული აქტის მიმართება საქართველოს სამართლებრივ სტანდარტებთან

გ.ა) ნორმატიული აქტის მიმართება საქართველოს კანონმდებლობასთან და კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებთან:

ნორმატიული აქტის არ ეწინააღმდეგება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას და კანონქვემდებარე ნორმატიულ სამართლებრივ აქტებს.

დ) ნორმატიული აქტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) ნორმატიული აქტის შემუშავებაში მონაწილე სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია (დაწესებულება), ექსპერტი, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ნორმატიული აქტის პროექტის შემუშავებაში აღნიშნულ სუბიექტებს მონაწილეობა არ მიუღიათ.

დ.ბ) ნორმატიული აქტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/დაექსპერტის შეფასება ნორმატიული აქტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ნორმატიული აქტის შემუშავებაში აღნიშნულ სუბიექტებს მონაწილეობა არ მიუღიათ.

ე) ნორმატიული აქტის ავტორი:

ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება.

ვ) ნორმატიული აქტის ინიციატორი:

ქედის მუნიციპალიტეტის მერი.



ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №

2026 წლის -- იანვარი
დაბა ქედა

სსიპ „სამხედრო გაწვევისა და რეკრუტირების ეროვნული სააგენტო“-სთვის ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი და მოძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, ვადით, უსასყიდლოდ, უზუფრუქტის ფორმით გადაცემაზე ქედის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ. გ“ ქვეპუნქტის, 122-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60¹-ე მუხლის, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილებით დამტკიცებული „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესების“ 21-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, მე-2 პუნქტის და საქართველოს მთავრობის 2025 წლის 05 დეკემბრის N2041 განკარგულების, შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა**:

1. მიეცეს თანხმობა ქედის მუნიციპალიტეტის მერს (მამუკა თურმანიძე) ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შემდეგი უძრავი და მოძრავი ქონების სსიპ სამხედრო გაწვევისა და რეკრუტირების ეროვნული სააგენტო“-ზე პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, 2027 წლის 01 იანვრამდე, უსასყიდლოდ, უზუფრუქტის ფორმით გადაცემაზე, კერძოდ:

ა) დაბა ქედა 26 მაისის ქ. №2-ში მდებარე შენობა-ნაგებობის პირველ სართულზე არსებული უძრავი ქონება 61,10 კვ. მეტრი საოფისე ფართი (ს/კ 21.03.35.008.01.507) და ამავე შენობა-ნაგებობაში შემდეგ საკადასტრო კოდზე (ს/კ 21.03.35.008.01.504) რეგისტრირებული ფართიდან 17,10 კვ. მეტრი საოფისე ფართი (გადასაცემი საოფისე ფართების შიდა ნახაზები განკარგულებას თან ერთვის), რომლის ჯამური საბალანსო ღირებულება შეადგენს 31 302,37 (ოცდა თერთმეტი ათას სამას ორი ლარი და ოცდა ჩვიდმეტი თეთრი) ლარს;

ბ) ლიკვიდირებული ქედის მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურის ბალანსზე აღრიცხული მოძრავი ქონება თანდართული დანართის N1-ის შესაბამისად, რომელთა საერთო საბალანსო ღირებულება შეადგენს 7518,76 (შვიდი ათას ხუთას თვრამეტი ლარი და სამოცდათექვსმეტი თეთრი) ლარს.

2. დანართი N1 და გადასაცემი საოფისე ფართების შიდა ნახაზები წარმოადგენს განკარგულების განუყოფელ ნაწილს.

3. მიღებული განკარგულების შესახებ ეცნობოს ქედის მუნიციპალიტეტის მერს.

4. განკარგულების დაინტერესებული მხარეებისთვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობა უზრუნველყოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსმა - მუხრან სალაძემ.

5. ბათილად იქნას ცნობილი მისი ძალაში შესვლის დღიდან „ ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი და მოძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით თხოვნების უფლებით „სსიპ სამხედრო გაწვევისა და რეკრუტირების ეროვნული სააგენტო“-სთვის გადაცემაზე ქედის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 26 დეკემბრის გ-95.95253606 განკარგულება.

6. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარეების მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358).

7. განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

ქედის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

ამირან ცინცაძე

ქედის მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული მოძრავი ქონება მცირეფასიანი ინვენტარი და სხვა მატერიალური ფასეულობები რომელიც უნდა გადაეცეს უზუფრუქტის ფორმით სსიპ „სამხედრო გაწვევისა და რეკრუტირების ეროვნულ სააგენტოს“

N	შეძენის წელი	მატერიალური ფასეულობების დასახელება	ზომის ერთე.	ერთეულის ფასი (დღეის მდგომარეობით)	რაოდენობა	საბალანსო ღირებულება ჯამში (ლარში)	შენიშვნა
1	2010	პროცესორი coreE5300 2,6ghz 2m/asus p5kpl	ცალი	38.56	1	38.56	
2	2010	4 კარიანი კარადა	ცალი	183.83	2	367.66	
3	2013	კონდინციონერი 12000 BTU GALANZ GALAXY	ცალი	266.16	1	266,16	
4	2014	კომპიუტერის კომპლექტი 223V5LSB MP5835	ცალი	151.83	1	151.83	
5	2016	კომპიუტერის კომპლექტი	ცალი	266.99	1	266.99	
6	2019	კონდინციონერი AKIRA-AC S13ECO18	ცალი	663.38	1	663.38	
7	2008	საათი კედლის	ცალი	15.00	1	15.00	
8	2010	მონიტორი 1942 s19	ცალი	320.00	1	320	
9	2010	საოფისე მაგიდა	ცალი	350.00	2	700	
10	2010	კომპიუტერის მაგიდა	ცალი	240.00	3	720	
11	2010	სეიფის ჩასადგამი კარადა	ცალი	450.00	2	900	
12	2010	მაგიდა გვერდ. მისადგამით	ცალი	190.00	1	190	
13	2010	მაგიდა წინა მისადგამით	ცალი	150.00	1	150	
14	2014	პრინტერი Canon i-SENSYS MF4410, Print, Copy	ცალი	375.00	1	375	
15	2022	ფარდა-ჟალუზები.	ცალი	189.00	4	756	
16	2022	საოფისე სკამი	ცალი	200.00	3	600	
17	2012	მაგიდა მისადგმელით	ცალი	200.00	1	200	
18	2012	კარადა ღია თაროებით	ცალი	135.00	1	135	
19	2013	კედლის თარო	ცალი	85.00	2	170	

განმარტებითი ბარათი

„სსიპ „სამხედრო გაწვევისა და რეკრუტირების ეროვნული სააგენტო“-სთვის ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი და მოძრავი ქონების პირდაპირ განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, ვადით, უსასყიდლოდ, უზუფრუქტის ფორმით, გადაცემაზე ქედის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინდივიდუალური აქტის (განკარგულება) პროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია ინდივიდუალური აქტის პროექტის შესახებ:

ა.ა) ინდივიდუალური აქტის მიღების მიზეზი:

ინდივიდუალური აქტის მიღების მიზეზია „საქართველოს მუნიციპალიტეტების მიერ უძრავი ქონების გადაცემისა და მომსახურებისათვის საჭირო ღონისძიებების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2025 წლის 05 დეკემბრის N2041 განკარგულების, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.გ“ ქვეპუნქტის, 122-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-5 პუნქტისა და საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილებით დამტკიცებული „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების“ 21-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, მე-2 პუნქტის შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემა, რათა მან განახორციელოს ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი და მოძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, ვადით, უსასყიდლოდ, უზუფრუქტის ფორმით, ვადით სსიპ „სამხედრო გაწვევისა და რეკრუტირების ეროვნული სააგენტო“-სთვის გადაცემა. სწორედ ამ მიზეზით ქედის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელმა ორგანომ შესაბამისი მოთხოვნით, სამართლებრივი აქტის - საკრებულოს განკარგულების პროექტით და თანდართული საქმის მასალებით მიმართა ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს.

ა.ბ) ინდივიდუალური აქტის მიღების მიზანი:

ინდივიდუალური აქტის მიღების მიზანია ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი და მოძრავი ქონების გადაცემაზე თანხმობის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინდივიდუალური აქტის მიღება. რომელის მიღებაც უზრუნველყოფს ქედის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს მიერ ქონების გადაცემის პროცედურების სამართლებრივ რეგულაციებს.

ა.გ) ინდივიდუალური აქტის ძირითადი არსი:

წარმოდგენილი ინდივიდუალური აქტის ძირითად არს წარმოადგენს ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება - დაბა ქედა 26 მაისის ქ.№2-ში მდებარე შენობა-ნაგებობის პირველ სართულზე არსებული ორი ერთეული უძრავი ქონება 78,20 კვ. მ. საოფისე ფართი (ს/კ 21.03.35.008.01.507 არსებული ფართი 61,10 კვ. მეტრი და ს/კ 21.03.35.008.01.504 არსებული ფართი 17,10 კვ. მეტრი), რომლის საბალანსო ღირებულება შეადგენს 31 302,37 (ოცდა თერთმეტი ათას სამას ორი ლარი და ოცდა ჩვიდმეტი თეთრი) ლარს და ლიკვიდირებული ქედის მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურის ბალანსზე აღრიცხული მოძრავი ქონების თანდართული დანართის N1-ის შესაბამისად, რომელთა საერთო საბალანსო ღირებულება შეადგენს 7518,76 (შვიდი ათას ხუთას თვრამეტი ლარი და სამოცდათექვსმეტი თეთრი) ლარს, სსიპ სამხედრო გაწვევისა და რეკრუტირების ეროვნული სააგენტო“-ზე პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის

უფლებით, 2027 წლის 01 იანვრამდე, უსასყიდლოდ უზუფრუქტის ფორმით გადაცემაზე ქედის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემა, რათა ქედის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელმა ორგანომ განახორციელოს აღნიშნული ქონების სსიპ „სამხედრო გაწვევისა და რეკრუტირების ეროვნული სააგენტო“-სთვის პირდაპირი განკარგვის წესით გადაცემის შესახებ შესაბამისი ინდივიდუალურ სამართლებრივი აქტის (ბრძანება) მომზადება.

ა.დ) ინდივიდუალური აქტის მოკლე ვადებში მიღების (გამოცემის) დასაბუთება:

წარმოდგენილი ინდივიდუალური აქტის მიღება უნდა განხორციელდეს შემჭიდროვებულ ვადებში რათა მუნიციპალიტეტის აღმასრულებელმა ორგანომ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობის მიღების შემდეგ, განახორციელოს დროულად აღნიშნული საკითხის მოწესრიგება.

ბ) პროექტის მიღებით გამოწვეული საფინანსო ეკონომიკური შედეგების გაანგარიშება:

ბ.ა) პროექტის დაფინანსების წყარო:

ინდივიდუალური აქტის მიღება არ გამოიწვევს ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.

ბ.ბ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

ინდივიდუალური აქტის მიღება გავლენას არ მოახდენს ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) ინდივიდუალური აქტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

ინდივიდუალური აქტის მიღება გავლენას არ მოახდენს ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

ინდივიდუალური აქტის მიღება არ წარმოშობს სახელმწიფოს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

გ) ინდივიდუალური აქტის მიმართება საქართველოს კანონმდებლობასთან და კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებთან:

ინდივიდუალური აქტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას და კანონქვემდებარე ნორმატიულ სამართლებრივ აქტებს.

დ) ინდივიდუალური აქტის პროექტის ავტორი:

ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება.

ე) ინდივიდუალური აქტის პროექტის წარმდგენი:

ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსულებელი გულადი წითელაძე

ვ) ინდივიდუალური აქტის ინიციატორი:


ქედის მუნიციპალიტეტის მერი.

12

ქვლადება ქვედა 26 მისის ქუჩა №2
შენიშვნა ნაგებობის აზომვითი ნახაზი

მასშტაბი-1:100

საკ-კოდი: 21.03.35.008.01.507
I სართული



შპს "რეალ გრაფიკი"-ს ტერმინალური
აზომვა შესრულდა: 28.03.2023 წელი
დამკვეთი: ი. ბუგანიძე


I სართულის საერთო ფართობი: 61.1 კვმ
თარიღი: 28/03/2023 წელი



ქელადაბა ქელა 26 მაისის ქუჩა №2
შენიშვნა ნაგებობის აზომვითი ნახაზი

მასშტაბი-1:100

I სართული



შპს "რეალ გრაფიკი" გ. დირექტორი: ი. ბეგანიძე



აზომვა შესრულდა: ი. ბეგანიძე

დაბეჭედილი: 28.03.2023 წელი

საკაგოდი: 21 03 35 008 01 503

I სართულის საერთო ფართობი: 78.05 კვმ



საქართველოს მთავრობის ბ ა ნ კ ა რ ბ უ ლ ე ბ ა

N2041 2025 წლის 5 დეკემბერი ქ.თბილისი

„საქართველოს მუნიციპალიტეტების მიერ უძრავი ქონების გადაცემისა და მომსახურებისათვის საჭირო ღონისძიებების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2024 წლის 16 აპრილის №536 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის საფუძველზე, „საქართველოს მუნიციპალიტეტების მიერ უძრავი ქონების გადაცემისა და მომსახურებისათვის საჭირო ღონისძიებების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2024 წლის 16 აპრილის №536 განკარგულებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და განკარგულების:

ა) სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„საქართველოს მუნიციპალიტეტების მიერ უძრავი/მოდრავი ქონების გადაცემისა და მომსახურებისათვის საჭირო ღონისძიებების შესახებ“;

ბ) პირველი და მე-2 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ეთხოვოთ მუნიციპალიტეტებს, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სამხედრო გაწვევისა და რეკრუტირების ეროვნული სააგენტოს (შემდგომში – სააგენტო) სამხედრო გაწვევისა და რეკრუტირების რეგიონული ცენტრების სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და რეკრუტირების მუნიციპალურ/რაიონულ განყოფილებებს, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 122-ე მუხლის მე-5 პუნქტისა და 122¹ მუხლის მე-8 პუნქტის შესაბამისად, პირდაპირი განკარგვის წესით, მხარეთა შეთანხმებით, არსებული ფორმით გადასცენ ქონება 2027 წლის 1 იანვრამდე.

2. ეთხოვოთ მუნიციპალიტეტებს, ამ განკარგულების პირველ პუნქტში აღნიშნულ საკითხზე უფლება მისცენ სააგენტოს სამხედრო გაწვევისა და რეკრუტირების რეგიონული ცენტრების სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და რეკრუტირების მუნიციპალურ/რაიონულ განყოფილებებს, განთავსდნენ შესაბამის შენობებში და უზრუნველყონ ქონების მომსახურებისათვის გაწეული დანახარჯების (ელექტროენერგიის, წყლისა და დასუფთავების მომსახურების, ბუნებრივი გაზისა და ინტერნეტის) დაფარვა.“.

პრემიერ-მინისტრი



ირაკლი კობახიძე

**2025 წლის კულტურისა და განათლების ქვეპროგრამების ფარგლებში
გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში**

2025 წლის საანგარიშო პერიოდში ძირითად მიმართულებად განვსაზღვრეთ კულტურული, საგანმანათლებლო, ტურიზმისა და კულტურული ძეგლების დაცვის ხელშეწყობი ღონისძიებების ორგანიზება. ღონისძიებები დავგეგმეთ სხვადასხვა ფორმატით, მიზნობრივ ჯგუფებზე გათვლილი სხვა შემეცნებისა და გართობის კომპონენტის მქონე მრავალფეროვანი აქტივობებით.

ქედის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმის, ახალგაზრდულ საკითხთა და ძეგლთა დაცვის სამსახურის 2025 წლის პროგრამული ბიუჯეტის კულტურის განვითარების ხელშეწყობის ქვეპროგრამით - (კულტურული ღონისძიებების ორგანიზება, მხარდაჭერა და ხელშეწყობა) გათვალისწინებულ ღონისძიებებში ჩართული იყვნენ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეები, შშმ პირები, მასწავლებლები, მუნიციპალიტეტში მცხოვრები სხვადასხვა სტატუსისა და ასაკის ბენეფიციარები. ღონისძიებების მიზანი იყო კულტურული ცხოვრების გამრავალფეროვნება, ეროვნული დღესასწაულების პოპულარიზაცია, საზოგადოებაში ცნობიერებისა და მოტივაციის ამაღლება, მოსწავლეების სწავლით დაინტერესება, მათი წახალისება, საქართველოს სხვადასხვა კუთხის გაცნობა, შიდა ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა, საზოგადოებაში არსებული სტერეოტიპული შეხედულებების მსხვრევა.

2025 წლის კულტურული ღონისძიებების ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელებულია შემდეგი ღონისძიებები:

დედისა და ქალთა საერთაშორისო დღე, დაიხარჯა: 9225 ლარი

ჩატარების თარიღი: 08 მარტი 2025 წელი.

ჩატარების ადგილი: ქედის მუნიციპალიტეტი, ცხმორისის კულტურის სახლი.

ღონისძიების მიზანი: ქედის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ქალბატონების, ღვაწლმოსილი, უხუცესი და მრავალშვილიანი დედებისათვის 3-8 მარტის მილოცვა, მათი დაფასება, ღვაწლის წარმოჩენა.

გაიმართა ამ დღისადმი მიძღვნილი კონცერტი. ღონისძიების ფარგლებში შერჩეულ 75 ბენეფიციარს გადაეცა 100 ლარის ღირებულების სასაჩუქრე ვაუჩერი. ასევე ღონისძიების ფარგლებში განხორციელდა მუნიციპალიტეტში მცხოვრები 10 უხუცესი ქალბატონის მონახულება, ტკბილეულისა და ფასიანი საჩუქრების გადაცემა.

8 აგვისტოს დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება, დაიხარჯა: 400 ლარი.

ჩატარების თარიღი: 08 აგვისტო 2025 წელი.

ჩატარების ადგილი: ქედის მუნიციპალიტეტი, სოფელი მერისი.

ღონისძიების მიზანი: ომში დაღუპულ გმირთა სახელის უკვდავყოფა.

ღონისძიების ფარგლებში განხორციელდა რუსეთ-საქართველოს ომის დროს დაღუპული გმირის საფლავის მონახულება სოფელ მერისში. გმირის საფლავის ყვავილებითა და გვირგვინით შემკობა.

ადგილობრივი და საერთაშორისო დღეების აღნიშვნა:

დაუნის სინდრომის მსოფლიო დღე, დაიხარჯა: 750 ლარი

ჩატარების თარიღი: 21 მარტი 2025 წელი.

ჩატარების ადგილი: დაბა ქედის ადმინისტრაციული ერთეული.

ღონისძიების მიზანი: დაუნის სინდრომთან დაკავშირებით საზოგადოების ცნობიერების ამაღლება, საზოგადოებაში არსებული სტერეოტიპების მსხვერვა. ტრენინგი ჩატარდა არანაკლებ 25 მსმენელისათვის თემაზე: „დაუნის სინდრომის მქონე ადამიანების თანასწორუფლებიანობის გამყარება“. ტრენინგის ხანგრძლივობა არანაკლებ 45 წუთი. მოეწყო ალაფურშეტი.

ბაირამი, დაიხარჯა: 1350 ლარი

ჩატარების თარიღი: 30 მარტი 2025 წელი.

ჩატარების ადგილი: ქედის მუნიციპალიტეტი, ცხმორისის, ოქტომბრისა და პირველი მაისის ადმინისტრაციული ერთეულები;

ღონისძიების მიზანი: ქედის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ მუსლიმანური სარწმუნოების მიმდევრებზე დღესასწაულის მილოცვა და შესაბამისი სადღესასწაულო გარემოს შექმნა. ღონისძიების ფარგლებში მუნიციპალიტეტში მოქმედ მეჩეთების მომლოცველებს გადაეცათ ტკბილეულის ფუთები.

აუტიზმის საერთაშორისო დღე, დაიხარჯა: 650 ლარი

ჩატარების თარიღი: 02 აპრილი 2025 წელი.

ჩატარების ადგილი: მახუნცეთის ადმინისტრაციული ერთეული.

ღონისძიების მიზანი: გაიზარდოს საზოგადოების ცნობიერების დონე აუტიზმთან დაკავშირებით. ასევე ხელი შეუწყოს აუტიზმის მქონე ადამიანების უფლებების დაცვას.

ტრენინგი ჩატარდა არანაკლებ 25 მსმენელისათვის თემაზე: „აუტისტური სპექტრის გამოვლენა და ქცევის პოზიტიური მართვა“. ტრენინგის ხანგრძლივობა არანაკლებ 45 წუთი. მოეწყო ალაფურშეტი.

აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაული, დაიხარჯა: 2325 ლარი

ჩატარების თარიღი: 20 აპრილი 2025 წელი.

ჩატარების ადგილი: დაბა ქედა, რუსთაველის ქუჩა, უფასო კვების სასადილო.

დაბა ქედის წმინდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესია, ზვარის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია, ზესოფლის სერაფიმ საროველის სახელობის ეკლესია.

ღონისძიების მიზანი: სააღდგომო სადღესასწაულო გარემოს შექმნა. ქედის მუნიციპალიტეტში არსებული უფასო კვების სასადილოთი მოსარგებლე 25 ბენეფიციარს გადაეცათ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულთან დაკავშირებით სააღდგომო პასკა და ტკბილეულის ფუთა. ასევე ღონისძიების ფარგლებში ეკლესიებს გადაეცათ სააღდგომო ტკბილეულის ფუთები.

დედამიწის საერთაშორისო დღე, დაიხარჯა: 650 ლარი

ჩატარების თარიღი: 22 აპრილი 2025 წელი.

ჩატარების ადგილი: დაბა ქედა, რუსთაველის ქუჩის მიმდებარედ არსებული სკვერი

ღონისძიების მიზანი: ბუნების დაცვა და მოვლა. ახალგაზდრდებში ბუნების მოვლის მნიშვნელობაზე ცნობიერების ამაღლება.

ღონისძიების ფარგლებში შეძენილი იქნა 15 ძირი ტუიას ნერგი, რომლებიც დაირგა დაბის ტერიტორიაზე, სადაც ჩართული იყვნენ სსიპ ვახტანგ პაპუნაძის სახელობის დაბა ქედის საჯარო სკოლის მოსწავლეები, ასევე სსსმ მოსწავლეები და პედაგოგები.

ბულინგთან ბრძოლის საერთაშორისო დღე, დაიხარჯა: 650 ლარი

ჩატარების თარიღი: 04 მაისი 2025 წელი.

ჩატარების ადგილი: დანდალოს ადმინისტრაციული ერთეული.

ღონისძიების მიზანი: საზოგადოებაში ცნობიერების ამაღლება ბულინგთან დაკავშირებით, ასევე ხელი შეუწყოს თანატოლებში ძალადობის ხელშეწყობი პირობების აღმოფხვრას.

ტრენინგი ჩატარდა არანაკლებ 25 მსმენელისათვის თემაზე: „საზოგადოებაში ბუღალტრის პრევენცია და ტოლერანტული კულტურის განვითარების ხელშეწყობა“. ტრენინგის ხანგრძლივობა არანაკლებ 45 წუთი. მოეწყო ალაფურშეტი.

9 მაისი - ფაშიზმზე გამარჯვების დღე, დაიხარჯა: 550 ლარი

ჩატარების თარიღი: 09 მაისი 2025 წელი.

ჩატარების ადგილი: დაბა ქედა, ყედის შერვაშიძის სახელობის სკვერი, წონიარისის ადმინისტრაციული ერთეული, ცხმორისის ადმინისტრაციული ერთეული.

ღონისძიების მიზანი: სამშობლოსათვის თავდადებულ გმირთა ხსოვნა, მათი პატივისცემა, ეროვნული დღესასწაულების აღნიშვნა.

ღონისძიების ფარგლებში ქედის ხანდაზმულთა კლუბის წევრებმა, ადგილობრივი თვითმმართველობისა და ძალოვანი სტრუქტურების წარმომადგენლებმა გვირგვინითა და ყვავილებით შეამკენ მეორე მსოფლიო ომში დაღუპულ გმირთა მემორიალები და პატივი მიაგენ მათ ხსოვნას. ჩატარდა მცირე კულტურული აქტივობა.

26 მაისი - საქართველოს დამოუკიდებლობის დღე, დაიხარჯა: 7340 ლარი

ჩატარების თარიღი: 26 მაისი 2025 წელი.

ჩატარების ადგილი: ქედის მუნიციპალიტეტი

ღონისძიების მიზანი: საქართველოს დამოუკიდებლობის (ეროვნული) დღის აღნიშვნა. ამ დღის არსი და მნიშვნელობა, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ქვეყნისათვის თავისუფლება.

ღონისძიების ფარგლებში გაფორმდა კუთხეები, მოეწყო კულტურული (კონცერტი) და სპორტული აქტივობები (მარათონი, ბირთვის კვრა). ღონისძიებაში ჩართულ მონაწილეებსა და დაინტერესებულ პირებს გადაეცათ მაისურები, მოეწყო ფლემშობი და თემატური გამოფენები.

ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე, დაიხარჯა: 4640 ლარი

ჩატარების თარიღი: 01 ივნისი 2025 წელი;

ჩატარების ადგილი: დაბა ქედა, ფრიდონ ხალვაშის სახელობის პარკი;

ღონისძიების მიზანი: გავულამაზოთ ბავშვებს ცხოვრება და დავიცვათ ბავშვთა უფლებები, პატარებისათვის ბავშვთა დაცვის დღის მილოცვა, მათთვის ცხოვრების გალამაზება.

ღონისძიებების ფარგლებში მოეწყო დეკორატიული კუთხეები, ჩატარდა კონცერტი და სხვადასხვა გასართობი აქტივობები. ღონისძიების ფარგლებში მოწვეულ იქნა მულტფილმის გმირები, მოეწყო სხვადასხვა გასართობი საბავშვო შოუ, ბავშვებს დაურიგდა უფასოდ ნაყინი.

გარემოს დაცვის საერთაშორისო დღე, დაიხარჯა: 861 ლარი

ჩატარების თარიღი: 05 ივნისი 2025 წელი.

ჩატარების ადგილი: მტირალას ეროვნული პარკი.

ღონისძიების მიზანი: ბუნების დაცვა და მოვლა. ახალგაზდრდებში ბუნების მოვლის მნიშვნელობაზე ცნობიერების ამაღლება.

ღონისძიების ფარგლებში ჩართული იყვნენ მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მოსწავლეები. განხორციელდა ტრანსპორტირება და კვებითი მომსახურება.

შშმ პირთა უფლებების დაცვის დღე, დაიხარჯა: 650 ლარი

ჩატარების თარიღი: 14 ივნისი 2025 წელი.

ჩატარების ადგილი: მერიის ადმინისტრაციული ერთეული.

ღონისძიების მიზანი: მოსახლეობაში ცნობიერების ამაღლება, შშმ პირთა უფლებების დაცვა, შშმ პირთა მიმართ მართებული მიდგომების, ტერმინების, სწორი დამოკიდებულებების შესახებ ინფორმაციის მიწოდება. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური იზოლაციის დაძლევა, საზოგადოებაში მათ მიმართ არსებული ნეგატიური სტერეოტიპების რღვევა და მათი რეალური შესაძლებლობების წარმოჩენა.

ტრენინგი ჩატარდა არანაკლებ 25 მსმენელისათვის თემაზე: „თანაბარი უფლებები, თანაბარი შესაძლებლობები“. ტრენინგის ხანგრძლივობა არანაკლებ 45 წუთი. მოეწყო ალაფურშეტი.

სიკეთის მსოფლიო დღე, დაიხარჯა: 650 ლარი

ჩატარების თარიღი: 13 ნოემბერი 2025 წელი

ჩატარების ადგილი: ქედის მუნიციპალიტეტი, სსიპ ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ ორცვის საჯარო სკოლა.

ღონისძიების მიზანი: საზოგადოებაში სიკეთის კეთების დანერგვა და მხარდაჭერა.

ტრენინგი ჩატარდა თემაზე: „სიკეთე და მზრუნველობა მნიშვნელოვანი მორალური ღირებულებები“, რომელიც გათვალისწინებული იყო არანაკლებ 25 მსმენელისათვის, ტრენინგის ხანგრძლივობა 45 წუთი. მოეწყო ალაფურშეტი.

მასწავლებელთა დღისადმის მიღწილი ღონისძიება, დაიხარჯა: 8499,33 ლარი

ჩატარების თარიღი: 23 სექტემბერი 2025 წელი

ჩატარების ადგილი: დაბა ქედა, ქედის ღვინის სახლის საკონფერენციო დარბაზი.

ღონისძიების მიზანი: განათლების ხელშეწყობა, მასწავლებლების წახალისება, მხარდაჭერა, ღვაწლის დაფასება და მადლობის გადახდა საზოგადოებაში შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილისათვის.

ღონისძიების ფარგლებში 40 მასწავლებელს გადაეცა 100 ლარის ღირებულების სასაჩუქრე ვაუჩერი და ყვავილები, განხორციელდა ტკბილეულით (ტორტი) და კვებით (მასწავლებლებისა და მოწვეული სტუმრების) განასპინძლება 50 კაცი.

ხანდაზმულთა საერთაშორისო დღე, დაიხარჯა: 3456 ლარი

ჩატარების თარიღი: 01 ოქტომბერი 2025 წელი

ჩატარების ადგილი: დაბა ქედა

ღონისძიების მიზანი: ქედის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ხანდაზმულების დაფასება და მხარდაჭერა, უფროსების მიმართ პატივისცემის გამოხატვა.

ღონისძიების ფარგლებში 1936 წელს დაბადებულ 32 ხანდაზმულს (20 ქალი და 12 მამაკაცი) გადაეცა 80 ლარის ღირებულების თბილი სამოსი და ტკბილეულის ფუთა.

მუნიციპალიტეტში მცხოვრები უფასო კვებით მოსარგებლე ბენეფიციარებისათვის საახალწლო ფუთის შეძენა, დაიხარჯა: 1080 ლარი

ჩატარების თარიღი: 22 დეკემბერი 2025 წელი

ჩატარების ადგილი: დაბა ქედა

ღონისძიების მიზანი: მუნიციპალიტეტში მცხოვრები უფასო კვებით მოსარგებლე ბენეფიციარებისათვის საახალწლო განწყობის შექმნა.

ღონისძიების ფარგლებში 25 ბენეფიციარს გადაეცა ტკბილეულის ფუთა.

ტურიზმის და კულტურული ძეგლების დაცვის ხელშეწყობი ღონისძიებები:

ეესკურსია ვარძიასა და რაბათში, დაიხარჯა: 6403, 67 ლარი

ჩატარების თარიღი: 25-26 ოქტომბერი 2025 წელი

ჩატარების ადგილი: ასპინძის მუნიციპალიტეტი, ახალციხის მუნიციპალიტეტი.

ლონისძიების მიზანი: ტურიზმის პოპულარიზაცია და წარმოჩენა, ახალგაზრდების ცხოვრების გააქტიურება. მომავალ თაობაში ჩვენი ქვეყნის კულტურული და ისტორიული ღირებულებების გაცნობა. ლონისძიების ფარგლებში განხორციელდა 35 მონაწილის სატრანსპორტო მომსახურება, ღამისთევა, კვებითი მომსახურება.

მოიალაღების მონახულება, დაიხარჯა: 4751 ლარი

ჩატარების თარიღი: 10 აგვისტო 2025 წელი

ჩატარების ადგილი: ქედის მუნიციპალიტეტის მთა სარიჩაირი ლონისძიების მიზანი: შიდა და სამთო ტურიზმის განვითარება. სოფლისა და კულტურული ტურიზმის პოპულარიზაცია და წარმოჩენა, მომავალ თაობაში ჩვენი ქვეყნის კულტურული და ისტორიული ღირებულებების გაცნობა. ადგილობრივი ტრადიციების დაცვა და შენარჩუნება. მოიალაღებისათვის ცხოვრების გამრავალფეროვნება და სადღესასწაულო განწყობის შექმნა.

ლონისძიების ფარგლებში განხორციელდა ადგილობრივი მთის მოიალაღებისათვის სურსათის შეძენა.

შშმ პირთა ჩართვა კულტურულ, საგანმანათლებლო და სხვადასხვა ლონისძიებებში

ლონისძიების მიზანი: ხელი შევუწყოთ შშმ პირების სოციალურ რეალიზებას, თანაბარი შესაძლებლობებისა და უფლებების დანერგვას, სხვადასხვა უნარ-ჩვევის გამოვლენას, ჯანსაღი კომუნიკაციის დამყარებასა და ნიჭის აღმოჩენას შემდგომში წარმატების მისაღწევად. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის ცხოვრების გააქტიურება და ინკლუზიური საზოგადოების ჩამოყალიბების ხელშეწყობა.

შშმ პირთა ექსკურსია „შეკვეთილში“, დაიხარჯა: 1015 ლარი;

ჩატარების თარიღი: 23 ოქტომბერი 2025 წელი

ჩატარების ადგილი: ოზურგეთის მუნიციპალიტეტი

ლონისძიებაში ჩართული იყო ქედის მუნიციპალიტეტში მცხოვრები 12 შშმ პირი და 3 თანმხლები პირი. განხორციელდა კვებითი და სატრანსპორტო მომსახურება, მინიატურების პარკის ბილეთებით უზრუნველყოფა, ასევე დაათვალიერეს მუსიკოსთა პარკი.

შშმ პირთა ექსკურსია ბათუმში დაიხარჯა: 1650 ლარი;

ჩატარების თარიღი: 11 სექტემბერი 2025 წელი

ჩატარების ადგილი: ქ. ბათუმი

ლონისძიებაში ჩართული იყო ქედის მუნიციპალიტეტში მცხოვრები 12 შშმ პირი და 3 თანმხლები პირი. განხორციელდა კვებითი და სატრანსპორტო მომსახურება, მოეწყო გემითა და ბათუმის საბაგიროთი გარსეირნება, ეთნოგრაფიული მიზეუმის „ბორჯღალო“-ს დათვალიერება. უზრუნველყოფილი იქნა ბილეთებისა და გიდის მომსახურება.

შშმ პირთა ექსკურსია ბათუმის ბოტანიკურ ბაღში დაიხარჯა: 1160 ლარი;

ჩატარების თარიღი: 08 ოქტომბერი 2025 წელი

ჩატარების ადგილი: ქ. ბათუმი

ლონისძიებაში ჩართული იყო ქედის მუნიციპალიტეტში მცხოვრები 12 შშმ პირი და 3 თანმხლები პირი. განხორციელდა კვებითი და სატრანსპორტო მომსახურება, მოეწყო გემითა და ბათუმის საბაგიროთი გარსეირნება, ეთნოგრაფიული მიზეუმის „ბორჯღალო“-ს დათვალიერება. უზრუნველყოფილი იქნა ბილეთებისა და გიდის მომსახურება.

“ქედის ხანდაზმულთა კლუბი „ღირსეული სიბერე“ ხელშემწყობი ღონისძიებები

ღონისძიების მიზანი: ქედის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ხანდაზმულებისათვის ცხოვრების გააქტიურება, მათი ღვაწლის დაფასება. ხანდაზმულები გაეცნობიან ჩვენი ქვეყნის კულტურულ და ისტორიულ ღირებულებებს. ჩართული იქნებიან სხვადასხვა ღონისძიებებში, სადაც ერთმანეთს გაუზიარებენ თავიანთ გამოცდილებებსა და შეხედულებებს.

ასევე ტურიზმის განვითარების თვალსაზრისით დაგეგმილია ქედის ხანდაზმულთა კლუბის „ღირსეული სიბერე“ წევრებისათვის ექსკურსიების მოწყობა, რომლითაც ხელი შეეწყობა შიდა ტურიზმის განვითარებას, სოფლისა და კულტურული ტურიზმის პოპულარიზაციასა და წარმოჩენას.

ქედის ხანდაზმულთა კლუბის „ღირსეული სიბერე“ წევრი ქალბატონებისათვის დედისა და ქალთა საერთაშორისო დღის აღნიშვნა, დაიხარჯა: 1450 ლარი

ჩატარების თარიღი: 08 მარტი 2025 წელი

ჩატარების ადგილი: დაბა ქედა

ღონისძიებების მიზანი: ქედის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ხანდაზმულების ცხოვრების გააქტიურება, მათი ღვაწლის დაფასება. კლუბის 15 წევრ ქალბატონს გადაეცა 50 ლარის ღირებულების ფასიანი საჩუქარი, უზრუნველყოფილი იქნა კვებითი მომსახურება 25 კაცზე.

ქედის ხანდაზმულთა კლუბის „ღირსეული სიბერე“ წევრების მიერ 9 აპრილის აღნიშვნა, დაიხარჯა: 100 ლარი

ჩატარების თარიღი: 09 აპრილი 2025 წელი

ჩატარების ადგილი: დაბა ქედა, 9 აპრილის სკვერი.

ღონისძიების მიზანი: სამშობლოსათვის თავდადებულ გმირთა სხოვნა, მათი პატივისცემა, ეროვნული დღესასწაულების აღნიშვნა. ღონისძიების ფარგლებში ხანდაზმულთა კლუბის წევრებმა მოინახულენ და ტიტებით შეამკენ 9 აპრილს დაღუპულ გმირთა მემორიალი და პატივი მიაგენ დაღუპულთა ხსოვნას.

ქედის ხანდაზმულთა კლუბის „ღირსეული სიბერე“ წევრთა ექსკურსია საგარეჯოში, დაიხარჯა: 5060 ლარი

ჩატარების თარიღი: 18, 19, 20 ივნისი 2025 წელი (გასვლითი)

ჩატარების ადგილი: საგარეჯოს მუნიციპალიტეტი

ღონისძიების მიზანი: ქედის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ხანდაზმულების ცხოვრების გამრავალფეროვნება და კულტურულ ცხოვრებაში უფრო აქტიურად ჩართვა, მათი ღვაწლის დაფასება. ხანდაზმულები ეცნობიან ჩვენი ქვეყნის კულტურულ და ისტორიულ ღირებულებებს. ერთვებიან სხვადასხვა ღონისძიებებში, სადაც ერთმანეთს უზიარებენ თავიანთ გამოცდილებებსა და შეხედულებებს. ღონისძიების ფარგლებში განხორციელდა სატრანსპორტო მომსახურება, ღამის თევზა, კვებითი მომსახურება. კლუბის წევრებმა დაათვალიერეს ქალაქი საგარეჯო, ისტორიული მუზეუმი, გიორგი ლეონიძის სახლ-მუზეუმი, დავით გარეჯი, საგარეჯოს პეტრე-პავლეს ეკლესია.

ქედის ხანდაზმულთა კლუბის „ღირსეული სიბერე“ წევრების მიერ 9 მაისის აღნიშვნა, დაიხარჯა: 130 ლარი

ჩატარების თარიღი: 9 მაისი 2025 წელი.

ჩატარების ადგილი: დაბა ქედა ყედის შერვაშიძის სახელობის სკვერი;

ღონისძიების მიზანი: სამშობლოსათვის თავდადებულ გმირთა ხსოვნა, მათი პატივისცემა, ეროვნული დღესასწაულების აღნიშვნა.

ხანდაზმულთა კლუბის წევრების ჩართვა კულტურულ ღონისძიებებში. ღონისძიების ფარგლებში ქედის ხანდაზმულთა კლუბის წევრებმა ყვავილებით შეამკენ მეორე მსოფლიო ომში დაღუპულ გმირთა მემორიალი და პატივი მიაგენ მათ ხსოვნას.

ქედის ხანდაზმულთა კლუბის „ღირსეული სიბერე“ წევრების მიერ 26 მაისი - საქართველოს დამოუკიდებლობის დღის აღნიშვნა, დაიხარჯა: 130 ლარი

ჩატარების თარიღი: 26 მაისი 2025 წელი

ჩატარების ადგილი: დაბა ქედა, ყედის შერვაშიძის სახელობის სკვერი;

ლონისძიების მიზანი: ეროვნული დღესასწაულების აღნიშვნა და გმირების უკვდავყოფა.

ხანდაზმულთა კლუბის წევრებმა ყვავილებით შეამკვენ მემორიალი და პატივი მიაგენ გმირებს. წევრები აქტიურად ჩაეთო ამ დღისადმი მიძღვნილ სხვასდასხვა ღონისძიებებში.

ქედის ხანდაზმულთა კლუბის „ღირსეული სიბერე“ წევრთა ექსკურსია ცაგერში დაიხარჯა: 3470 ლარი

ჩატარების თარიღი: 10-11 ივლისი 2025 წელი (გასვლითი)

ჩატარების ადგილი: ცაგერის მუნიციპალიტეტი

ლონისძიების მიზანი: ქედის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ხანდაზმულების ცხოვრების გამრავალფეროვნება და კულტურულ ცხოვრებაში უფრო აქტიურად ჩართვა, მათი ღვაწლის დაფასება. ხანდაზმულები ეცნობიან ჩვენი ქვეყნის კულტურულ და ისტორიულ ღირებულებებს. ერთვებიან სხვადასხვა ღონისძიებებში, სადაც ერთმანეთს უზიარებენ თავიანთ გამოცდილებებსა და შეხედულებებს. ღონისძიების ფარგლებში განხორციელდა სატრანსპორტო მომსახურება, ღამის თევზა, კვებითი მომსახურება. კლუბის წევრებმა დაათვალიერეს ქალაქი ცაგერი, ცაგერის ისტორიული მუზეუმი, ლადო ასათიანის სახლ-მუზეუმი, ზუბის ციხე, ცაგერის საკათედრო ტაძარი.

ქედის ხანდაზმულთა კლუბის „ღირსეული სიბერე“ წევრთა ექსკურსია მარტვილში, დაიხარჯა: 3000 ლარი

ჩატარების თარიღი: 29-30 აგვისტო 2025 წელი (გასვლითი)

ჩატარების ადგილი: მარტვილის მუნიციპალიტეტი

ლონისძიების მიზანი: ქედის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ხანდაზმულების ცხოვრების გამრავალფეროვნება და კულტურულ ცხოვრებაში უფრო აქტიურად ჩართვა, მათი ღვაწლის დაფასება. ხანდაზმულები ეცნობიან ჩვენი ქვეყნის კულტურულ და ისტორიულ ღირებულებებს. ერთვებიან სხვადასხვა ღონისძიებებში, სადაც ერთმანეთს უზიარებენ თავიანთ გამოცდილებებსა და შეხედულებებს. ღონისძიების ფარგლებში განხორციელდა სატრანსპორტო მომსახურება, ღამის თევზა, კვებითი მომსახურება. კლუბის წევრებმა დაათვალიერეს ქალაქი მარტვილი, მარტვილის ისტორიული მუზეუმი, მარტვილის კანიონი, აბედათის ციხე, მარტვილის სამონასტრო კომპლექსი.

ქედის ხანდაზმულთა კლუბის „ღირსეული სიბერე“ წევრებისათვის ხანდაზმულთა საერთაშორისო დღის აღნიშვნა, დაიხარჯა: 1630 ლარი

ჩატარების თარიღი: 01 ოქტომბერი 2025 წელი

ჩატარების ადგილი: დაბა ქედა

ლონისძიების მიზანი: ქედის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ხანდაზმულებისათვის ცხოვრების გამრავალფეროვნება.

ლონისძიებების ფარგლებში კლუბის წევრებს (20 წევრი) გადაეცათ ფასიანი საჩუქარი, განხორციელდა 25 კაცის კვებითი მომსახურება.

ქედის ხანდაზმულთა კლუბის „ღირსეული სიბერე“ წევრების მიერ განვლილი წლის შედეგების შეჯამება და შობა ახალი წლის საზეიმოდ მილოცვა, ბიუჯეტი: 1630 ლარი

ჩატარების თარიღი: 2025 წლის 23 დეკემბერი

ჩატარების ადგილი: დაბა ქედა

ლონისძიების მიზანი: ქედის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ხანდაზმულების ცხოვრების გამრავალფეროვნება, მათთვის საახალწლო განწყობის შექმნა

ლონისძიებების ფარგლებში კლუბის წევრებს (20 წევრი) გადაეცათ ფასიანი საჩუქარი, განხორციელდა 25 კაცის კვებითი მომსახურება.

კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებები:

მასწავლებელთა მერვე მუნიციპალური კონფერენცია, დაიხარჯა 5540 ლარი

ჩატარების თარიღი: 30 ივნისი 2025 წელი.

ჩატარების ადგილი: დაბა ქედა, სსიპ ვახტანგ პაპუნაძის სახელობის ქედის საჯარო სკოლა.

ლონისძიების მიზანი: ღონისძიების მიზანია მასწავლებლების პროფესიული განვითარების ხელშეწყობა, თანამედროვე საგანმანათლებლო გამოწვევებისა და საუკეთესო პრაქტიკის გაზიარება, ასევე საგანმანათლებლო ინოვაციების დანერგვის ხელშეწყობა. ღონისძიებაში ჩართულ ბენეფიციართა რაოდენობა - 190 კაცი.

სიმღერისა და ცეკვის ბავშვთა ფოლკლორული ანსამბლების ოლიმპიადა, დაიხარჯა: 7150,80 ლარი

ჩატარების თარიღი: 18 მაისი, 22 მაისი, 12 ივნისი 2025 წელი.

ჩატარების ადგილი: ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი; ქ. ბათუმი.

ლონისძიების მიზანი: შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოებული ახალგაზრდების აღმოჩენა და წარმოჩენა, მათი პოპულარიზაცია. ტრადიციული ხელოვნების, ქართული ხალხური სიმღერისა და ცეკვის წარმოჩენა და პოპულარიზაცია ახალგაზრდა თაობაში, ნიჭიერი შემსრულებლების გამოვლენა და მონაწილეთა შორის შემოქმედებით სიახლეთა გაზიარება, არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და პოპულარიზაცია.

ლონისძიების პირველი შესარჩევი ტური ჩატარდა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში, სადაც მონაწილეობას ღებულობდა ქედის საჯარო სკოლების ანსამბლები და ინდივიდუალური შემსრულებლები, ხოლო მეორე და დასკვნითი ტურები გაიმართა ქ. ბათუმში საზაფხულო ტეატრში და ხელობნებისა და მუსიკის ცენტრში.

ლონისძიების ფარგლებში განხორციელდა ოლიმპიადაში მონაწილე ქედის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების ფოლკლორული ანსამბლების მონაწილეთა ტრანსპორტირება.

ოლიმპიადის ფარგლებში ქედის სალოტბარო სკოლის მოსწავლეებმა აიღეს პირველი ადგილი <https://ajaratv.ge/article/152490>.

ინტერმუნიციპალური ღონისძიებები:

მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდების გასვლა სახალხო დღესასწაულ „კუნტიჯვრობა 2025“-ში, დაიხარჯა: 3250 ლარი

ჩატარების თარიღი: 12 აგვისტო 2025 წელი.

ჩატარების ადგილი: შუახევის მუნიციპალიტეტი, მთა ჩირუხი

ლონისძიების მიზანი: ახალგაზრდული პოლიტიკის განხორციელების ნაწილში ინტერმუნიციპალური თანამშრომლობის გაძლიერება, რაც მაღალმთიანი აჭარის ახალგაზრდების ჩართულობის ხარისხის გაზრდასა და მათ საჭიროებებზე მორგებული პროექტების განხორციელებას გულისხმობს. ჩვენთვის ძალზე მნიშვნელოვანია ხელი შევუწყოთ ახალგაზრდების სოციალურ რეალიზებას, წარმატების მისაღწევად სხვადასხვა უნარ-ჩვევის გამოვლენას, ჯანსაღი კომუნიკაციის დამყარებას, ახალგაზრდების დაინტერესებას ტურიზმით, მუნიციპალიტეტის ახალგაზრდების ჩართვას ინტერმუნიციპალურ ღონისძიებებში და ა.შ.

ლონისძიების ფარგლებში განხორციელდა ახალგაზრდების (25 კაცი) ტრანსპორტირება, კვებითი მომსახურება, ღამისთევა.

სხვადასხვა საგანმანათლებლო ტრენინგის ჩატარება:

ტრენინგის ჩატარება თემაზე „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტებისა და გონივრული მისადაგების“ პრინციპების დანერგვის შესახებ, დაიხარჯა: 501 ლარი

ჩატარების თარიღი: 10 ოქტომბერი 2025 წელი.

ჩატარების ადგილი: დაბა ქედა, ციფრული წიგნიერების ცენტრი.

